



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 30 ივლისი - 12 აგვისტო, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მესამე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო ;
- რეგიონალურ ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება თითქმის ყოველთვის პოზიტიურია;
- ტელეკომპანიათა უმეტესობაში იგრძნობა ლოიალური დამოკიდებულება ზოგადად ხელისუფლების მიმართ;
- ტელეკომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი აშუქებს ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 30 ივლისი - 12 აგვისტოს მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალდა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

მესამე საანგარიშო პერიოდშიც ვერ მოხერხდა ოცივე ტელემაუწყებლის სრულყოფილი მონიტორინგი. საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არა აქვთ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ.სენაკი). ტელეკომპანია "მე-9 ტალდა" (ქ. ფოთი) საინფორმაციო გადაცემების მომზადებას 15 აგვისტოდან განაახლებს.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

ტელეკომპანია "ზარმა" (ქ. სამტრედია) მაუწყებლობა განაახლა, მაგრამ უარი გვითხრა საინფორმაციო გადაცემების მოწოდებაზე. ვცდილობთ, მოვნახოთ გადაცემების მიღების ალტერნატიული გზა.

30 ივლისი - 12 აგვისტოს მანძილზე ისევ არასრული დატვირთვით მუშაობდა და კვირაში მხოლოდ ერთ საინფორმაციო გადაცემას ამზადებდა რამდენიმე ტელეკომპანია. კერძოდ, "მეგა ტვ" (ქ. ხონი), ტელეკომპანია "ბორჯომი" და ტელეკომპანია "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი). აგვისტოში, თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის გამო, კვირაში ერთი საინფორმაციო გადაცემა გავა "მარნეული ტვ"-ს ეთერით. ასეთივე მდგომარეობაა ქალაქ ლაგოდეხის ტელეკომპანია "ლტვ" -შიც.

კახეთის რეგიონში ივლისის ბოლოს სტიქიის შედეგად პრობლემები შეექმნათ ტელეკომპანია "თანამგზავრს" (ქ. თელავი) და "გურჯაანს" (ქ. გურჯაანი). "თანამგზავრმა" საინფორმაციო გადაცემების მომზადება 7 აგვისტოს განაახლა. 6 აგვისტოდან განაახლა მაუწყებლობა ტელეკომპანია "გურჯაანმა", თუმცა საანგარიშო პერიოდში ეთერში საინფორმაციო გადაცემები ჯერ ისევ არ გადიოდა.

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას" (11 წთ.). 8 წუთი დაეთმო ხელისუფლების გაშუქებას, 7 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობის, 5 წუთი - აჭარის მთავრობის. გაშუქების 4 წუთი ხვდა წილად ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.



გაშუქების ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი ჰქონდა კოალიცია "ქართულ ოცნებას" (85%), ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა (83%) და აჭარის მთავრობას (80%). ყველაზე დიდი ნეგატიური გაშუქება (95%) წილად ხვდა ხელისუფლებას .




საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტების არაპირდაპირი გაშუქება სჭარბობდა პირდაპირს:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ძირითადად რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. იმის გამო, რომ ტელეკომპანიის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი შვებულეზაშია, საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გადაცემები არ მზადდებოდა და მხოლოდ ცალკეული სიუჟეტები გადიოდა ეთერში. სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი გარკვეულ, არცთუ მთლად დასაბუთებულ დასკვნებს აკეთებს. მაგალითად, 9 აგვისტოს სიუჟეტში, რომელშიც საუბარია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად გიორგი ბარამიძის დასახელებაზე, ორი მოქალაქის მოსაზრებაზე დაყრდნობით ჟურნალისტი აცხადებს: „ბათუმელები ფიქრობენ, რომ გია ბარამიძეს ბათუმის მაჟორიტარობა არ დაუმსახურებია“.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, თითქმის ერთი საათი დაეთმო მთავრობის გაშუქებას. პრეზიდენტი გაშუქდა 25 წუთის მანძილზე, 10-10 წუთი დაეთმოთ ადგილობრივ თვითმმართველობას და ხელისუფლებას, 6 წუთი-პარლამენტს, ხოლო 4 წუთი - ოპოზიციას.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი




ყველაზე მაღალი პოზიტიური გაშუქება წილად ხვდა მთავრობას (86%), ხელისუფლებას (81%), ადგილობრივ თვითმმართველობას (67%), პარლამენტსა (58%) და პრეზიდენტს (53%). ხოლო ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი ზოგადად ოპოზიციაზე (4 წუთიანი გაშუქება) - 93% და კოალიცია "ქართული ოცნებაზე" (3 წუთიანი გაშუქება) - 73% საუბრისას დაფიქსირდა.



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტებზე საუბრისას ირიბი გაშუქება თითქმის ყოველთვის სჭარბობდა პირდაპირს. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ხელისუფლებას 75% .




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონი“ აქტიურად აშუქებდა ზოგადად ქვეყანაში და რეგიონში მომხდარ ახალ ამბებს. რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მეტი დრო (ერთი საათი) მთავრობის გაშუქებას დაეთმო, ძირითადად, პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის შეხვედრებს სხვადასხვა რეგიონებში. როგორც წესი, მოვლენის მიმართ ჟურნალისტი პოზიციას არ აფიქსირებს, თუმცა ფაქტები მხოლოდ დადებით კონტექსტშია ნაჩვენები და არ არის წარმოდგენილი განსხვავებული პოზიციები.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაუთმო - 11 წუთი. 4 წუთი დაეთმო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 2-2 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას", მთავრობას და ზოგადად ხელისუფლებას.



ნეგატიური ტონი დაფიქსირდა მხოლოდ ხელისუფლების მიმართ (41%). დანარჩენი სუბიექტების მიმართ ძირითადად პოზიტიურ და ხანდახან ნეიტრალურ ტონში იყო საუბარი.




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო, მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" და ხელისუფლების გაშუქების ასევე პროცენტი იყო არაპირდაპირი.




ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ამბებს აშუქებს. ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას ეთმობა, რომლის პოზიტიურად გაშუქების წილი 100 პროცენტია. ყველაზე ხშირად გაშუქებული თემა ქალაქ რუსთავში გზების, ლიფტების, სახურავების რეაბილიტაცია და ამ სამუშაოების მიმდინარეობის აღწერაა. ზოგ შემთხვევაში ნათლად ჩანს ჟურნალისტის პოზიტიური დამოკიდებულება მმართველი პარტიის მიმართ. პირველი აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების მესამე სიუჟეტი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის მიერ მოწყობილ ქალაქის დასუფთავების აქციას მიეძღვნა. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს: "ახალგაზრდები ქალაქის აღმშენებლობას გამოეხმაურნენ ამ აქციით".


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან 2 წუთის განმავლობაში მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობა გაშუქდა. ტელეკომპანია მონიტორინგის სუბიექტებს ნაკლებად აშუქებს, ამიტომ აზრს კარგავს მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირი/ირიბი გაშუქების მიხედვით. ასევე თვისებრივი ანალიზის გაკეთება.




"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო - 17 წუთი. გამუქების 8 წუთი ხვდა წილად მთავრობას, 6 წუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და 3 წუთი პრეზიდენტს.



სიუჟეტებში არც ერთი გამუქებული სუბიექტის მიმართ ნეგატიური ტონი არ დაფიქსირებულა:




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. ეს მაჩვენებელი ერთნაირი იყო და პირდაპირი საუბარი ოდნავ სჭარბობდა ირიბს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შემთხვევებში.




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

გასული ორი კვირის განმავლობაში ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ახალი ამბები ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობისა და მთავრობის საქმიანობას ეხებოდა. „მე-9 არხი“ ნაკლებად აშუქებდა ოპოზიციური პარტიების აქტივობებს. შესაბამისად, სიუჟეტებში საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა შეფასებები და მოსაზრებები ნაკლებად იყო წარმოდგენილი.


"თანამგზავი" (თელავი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაეთმო (9 წთ.), შემდეგ პრეზიდენტს (5 წთ.). დაახლოებით 4 წუთი დაეთმო მთავრობას და 3 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ჩვენთვის საინტერესო დანარჩენ სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა.



ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების მიმართ ძირითადად პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. გაშუქების მცირე ნეგატიური ტონი გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობისა (9%) და მთავრობის (3%) მიმართ.




სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემთხვევაში ირიბი საუბარი სჭარბობს პირდაპირს.



19 ივლისის სტიქიის შედეგად შეწყვეტილი მაუწყებლობა ტელეკომპანიამ 7 აგვისტოს განაახლა. ამიტომ ანგარიშში მხოლოდ 4 დღის (7-10 აგვისტო) მანძილზე მომზადებული საინფორმაციო გადაცემები შევიდა. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მცირეა და არც სუბიექტების მრავალფეროვნება გვაქვს. აღსანიშნავია, რომ 8 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში (სხვა არხებისგან განსხვავებით) წარმოადგენილი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნოდ დარეგისტრირებული პოლიტიკური სუბიექტების სრული სია. 40-მდე პოლიტიკურ გაერთიანებას მხოლოდ 1-1


წამი დაეთმო. დათმობილი დროის სიმცირის და სუბიექტების სიმრავლის გამო აღნიშნული მონაცემები სუბიექტებისთვის დათმობილი დროის აღმნიშვნელ დიაგრამაში არ შესულა.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტების მიმართ დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი დრო, 15 წუთი, წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 9 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, 8 წუთი - ხელისუფლებას, 7 წუთი - პრეზიდენტს, 6-6 წუთი ახალ მემარჯვენეებს და მთავრობას. 5 წუთი დაეთმო ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.




გამუქებული სუბიექტების უმრავლესობის მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა. 100% პოზიტიურ ტონში იყო გამუქებული ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. ასევე პოზიტიური გამუქების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ახალი მემარჯვენეების მიმართ - 97% და კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ - 63%. ნეგატიური გამუქების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ზოგადად ხელისუფლებაზე მოდის - 90%. პრეზიდენტის გამუქებისას პოზიტიური (45%) და ნეგატიური (40%) ტონები თითქმის თანაბრად გამოვლინდა.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



სუბიექტების გაშუქებისას ახალი მემარჯვენეებზე და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე საუბრისას პირდაპირი გაშუქება სჭარბობდა ირიბს და ორივეს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ერთნაირი იყო - 62% / 38%. კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში ეს პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში სუბიექტებზე სხვები უფრო საუბრობდნენ.




ტელეკომპანია "თრიალეთის" საინფორმაციო გამოშვებებში უფრო მეტი დრო რეგიონის ახალ ამბებს ეთმობა. ზოგჯერ იგრძნობა ჟურნალისტის უარყოფითი დამოკიდებულება მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, პირველი აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების მეორე სიუჟეტში ნაჩვენებია კასპის მუნიციპალიტეტის

გამგებლის შეხვედრა სოფელების ნოსტეს და ახალციხის მოსახლეობასთან. თითქმის მთელი სიუჟეტის განმავლობაში ნაჩვენებია ადგილობრივი მცხოვრები როგორ საყვედურობს გამგებელს მოუგვარებელი საქმეების გამო. სიუჟეტი ისე მთავრდება, რომ არ არის გაშუქებული გამგებლის საუბარი მოსახლეობასთან, ან მისი პასუხი გაღიზიანებული მოქალაქის ბრალდებებზე. თუმცა კადრებიდან შეგვიძლია მივხვდეთ, რომ გამგებელი ხალხს გაესაუბრა და განაწყენებულ მოქალაქესაც უპასუხა.


ასევე პირველი აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების მესამე სიუჟეტში კადრში ჩანს ჟურნალისტის სატელეფონო საუბარი ნაციონალურ მოძრაობის წევრ ბადრი ბასშივლიანთან. გრაფიკაში ერთ მხარეს ტელევიზიის ლოგოა გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს ბადრი ბასშივილის და მისი ე.წ. "ზონდერბრიგადის" ფოტოაკოლაჟია, რომელიც იმავე დღეს კოალიცია "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა აქციაზე დაარიგეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თრიალეთის“ ჟურნალისტების განცხადებით ხელისუფლების წარმომადგენლები თავს არიდებენ მათთან საუბარს. მაგალითად, 10 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში ჩანს როგორ მისდევს ჟურნალისტი ვანო მერაბიშვილს ინტერვიუსათვის, ეს უკანასკნელი კი მას ყურადღებას არ აქცევს. ამავე სიუჟეტში ჟურნალისტი ასევე ცდილობს ინტერვიუს აღებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლისგან, თუმცა კვლავ უშედეგოდ.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - გაშუქების ყველაზე მეტი დრო, 7 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას ხვდა წილად, 5 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 4 წუთი - მთავრობას, ხოლო 2-2 წუთი ქრისტიან-დემოკრატიულ და ერთიან ნაციონალურ მოძრაობებს.



გაშუქებული სუბიექტების მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ კვალიცია "ქართული ოცნების" მიმართ სამივე ტონი თითქმის თანაბრად გამოვლინდა. ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ მხოლოდ პოზიტიური (96%) და ნეიტრალური (4%) ტონი დაფიქსირდა. ასევე მხოლოდ 2 ტონი გამოვლინდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ - 45% ნეიტრალური და 55 % ნეგატიური.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი გაშუქება ყოველთვის სჭარბობდა პირდაპირს.




ტელეკომპანია უმეტესად რეგიონის სიახლეებს აშუქებდა, თუმცა ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე რამდენიმე მოვლენაც გაშუქდა. სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო. მაგალითად, საკრებულოს სხდომის გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც მმართველი გუნდის, ასევე საკრებულოს ოპოზიციონერი წარმომადგენლის მოსაზრებები. თუმცა იყო სიუჟეტები, რომლებშიც მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია გაშუქდა და საპასუხო კომენტარები არ იყო წარმოდგენილი.

"იმერვიზია" (ჭიათურა) - სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ: ადგილობრივ თვითმმართველობას (12 წთ.), კოალიცია "ქართულ ოცნებას" (9 წთ.) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (8 წთ.). 5- 5 წუთი გადანაწილდა ხელისუფლებასა და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე.




გაშუქებული სუბიექტებიდან ნეგატიური ტონი დაფიქსირდა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის (5%), კოალიცია "ქართული ოცნების" (7%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (8%) და ხელისუფლების (14 %) მიმართ. სუბიექტებზე საუბრისას პოზიტიური ტონი სჭარბობდა ნეიტრალურს. კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში ეს პროცენტული მაჩვენებლები თანაბარი იყო.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს:

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



ტელეკომპანია „იმერვიზია“ აქტიურად აშუქებდა რეგიონში მომხდარ პოლიტიკურ ამბებს. ყველაზე მეტი დრო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას დაეთმო. აღსანიშნავია, რომ „იმერვიზიაზე“ ცალკეული სიუჟეტებში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია, რომელსაც რესპონდენტების ერთგვაროვანი კომენტარები ამყარებს. ამის კარგი მაგალითია 7 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში გასული ზედიზედ რამდენიმე სიუჟეტი, რომლებშიც მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებია ნაჩვენები.


"არგო" (ქ. ზესტაფონი) - ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 6 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო, 2 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.



გაშუქებული სუბიექტების მიმართ ნეგატიური ტონი არ დაფიქსირებულა. ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების ტონი 92%-ის შემთხვევაში პოზიტიური იყო, ხოლო 8% -ის ნეიტრალური. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბრად გადანაწილდა 58% / 42%.


ტელეკომპანია ძირითადად რეგიონის კულტურისა და სპორტის ახალ ამბებს აშუქებდა. საანგარიშო პერიოდის მანძილზე კვლევისთვის საინტერესო სუბიექტები ფაქტიურად არ უხსენებიათ. მონიტორინგის მხოლოდ ოთხ სუბიექტს დაეთმო დრო, აქედან წუთზე მეტი - მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. შესაბამისად, არსებული მასალა თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან დრო დაეთმო მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას (6 წთ.) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (2 წთ.). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას დაფიქსირდა მხოლოდ პოზიტიური (74 %) და ნეგატიური (26 %) ტონები. სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს.




ტელეკომპანია „ბორჯომი“ ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქებით შემოიფარგლება. საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიაში მიმდინარე რემონტის გამო (ახალ სტუდიას აკეთებენ) საინფორმაციო გადაცემები არ მომზადებულა, მხოლოდ ცალკეული სიუჟეტები გადიოდა ეთერში. 2 კვირის განმავლობაში მხოლოდ ოთხი სუბიექტი გაშუქდა. ოთხივეს ერთად 8 წუთი დაეთმო. მასალის სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს თვისებრივ ანალიზი გავაკეთოთ.

მარნეული ტვ (ქ. მარნეული) - ყველაზე მეტი დრო, 3 -3 წუთი, დაეთმოთ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიას და პრეზიდენტს. 2-2 წუთით გაშუქდნენ ზოგადად ხელისუფლება და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

გაშუქებული სუბიექტების მიმართ ძირითადად პოზიტიური და ნეიტრალური ტონები დაფიქსირდა, მხოლოდ ხელისუფლების მიმართ გამოვლინდა გაშუქების ნეგატიური ტონი - 84%.



სუბიექტების გაშუქებისას მხოლოდ პრეზიდენტის შემთხვევაში (81% / 19%) სჭარბობდა პირდაპირი გაშუქება ირიბს.




ტელეკომპანია რეგიონის ახალ ამბებთან ერთად ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსაც აშუქებდა. საანგარიშო პერიოდის მანძილზე საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებად გაშუქდა პოლიტიკური მოვლენები.


საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ ფაქტები შუქდებოდა. სიუჟეტებში არ იყო წარმოდგენილი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული მოსაზრებები და კომენტარები. მაგალითად: 3 აგვისტოს გამოშვება ბაჩუკი ქარდავას

განცხადებით იწყება, სადაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებს რუსეთის მხრიდან შესაძლო სამხედრო აგრესიის პროვოცირებაში ადანაშაულებს. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში საპასუხო კომენტარი ან განსხვავებული მოსაზრება არ უჩვენებიათ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ ტენდენციური არ იყო. მონიტორინგის სუბიექტები მეტწილად პოზიტიურ ან ნეიტრალურ ტონში შუქდებოდა.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, დაახლოებით 8 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო. 6 წუთი მთავრობის გაშუქებას ხვდა წილად და 2 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



გაშუქებული სუბიექტები ძირითადად პოზიტიურ ტონში იყვბნენ წარმოდგენილნი, მხოლოდ მთავრობის მიმართ დაფიქსირდა ნეგატიური ტონი (14%).




სუბიექტებზე ძირითადად სხვები საუბრობდნენ. მხოლოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ხვდა წილად პირდაპირი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი - 90%.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ლაგოდები“ არასრული დატვირთვით მუშაობდა. თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის გამო ეთერში მხოლოდ ცალკეული სიუჟეტები გადიოდა. სიუჟეტებში ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ ან დაგეგმილ საქმიანობებზე იყო საუბარი.

"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საანგარიშო პერიოდში არხმა ორი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა. მონიტორინგის სუბიექტებიდან გაშუქდნენ მხოლოდ ადგილობრივი

თვითმმართველობა (14 წთ.), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (5 წთ.) და ხელისუფლება (2 წთ.).




მხოლოდ ხელისუფლების მიმართ დაფიქსირდა გაშუქების 100 % უარყოფითი ტონი. დანარჩენი ორი სუბიექტი პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონში არიან გაშუქებულნი. ადგილობრივი თვითმმართველობა - 77% პოზიტიური, 23 ნეიტრალური; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 81% პოზიტიური, 19% ნეიტრალური.

ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში პირდაპირი გაშუქება სჭარბობს ირიბს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზე საუბრისას ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარია (41% - პირდაპირი / 59% ირიბი).

საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობა შუქდებოდა. ჟურნალისტის ტონი უმეტესად დადებითი იყო.

"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების ორი გადაცემა გავიდა ეთერში. მათში 5 წუთის განმავლობაში საუბარობდნენ პარლამენტზე, 4-4 წუთი დაეთმოთ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას. გაშუქება ყოველთვის პოზიტიური იყო, მხოლოდ ხელისუფლების მიმართ დაფიქსირდა გაშუქების ნეგატიური ტონი (2%) და გაშუქების ნეიტრალური ტონი ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ (6%). სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ, ვიდრე თავად ისინი საკუთარ თავზე.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია მხოლოდ ადგილობრივ ამბებს აშუქებდა. დიდი დრო დაეთმო ხონის რაიონში მთავრობის წარმომადგენელთა ვიზიტების გაშუქებას. 3 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვების პირველი სიუჟეტი (7 წუთი) ადგილობრივ მოსახლეობასთან პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის შეხვედრას ეთმობა. ამავე საინფორმაციო გამოშვების მეორე სიუჟეტში კი ვანო მერაბიშვილის ხონში მოსახლეობასთან შეხვედრას 4 წუთი აქვს დათმობილი.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

13-26 აგვისტოს მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეოთხე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.